საქართველოს ორგანული კანონი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.07.2011, სარეგისტრაციო კოდი: 010100000.04.001.016021) დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 მუხლი:

„მუხლი 2^1. ენერგეტიკული დამოუკიდებლობის პარამეტრების დადგენა

განახლებადი ენერგიის წყაროებიდან წლიურად წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობა ადგილობრივად მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობას უნდა აღემატებოდეს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2030 წლის 31 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

27 ივნისი 2024 წ.

N4296-XIVმს-Xმპ